



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 50
03/08/2016

50-06-4-201608031818



განკარგულება N50
3 აგვისტო, 2016 წელი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული ნაგავმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალების (Ford Cargo 1826 NMOKKXTPKFD 97583, 13 მ3 – EFE- ს დანადგარით 2015, სახ. ნომერი SZ 285 ZS) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის ბახმაროს საკურორტო სეზონის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში (2016 წლის 10 ოქტომბრამდე), უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო